ფოთელების მოსაზრებით ,,მეტი ქალი მმართველობაში და პოლიტიკაში,,

გვ. 2

ფოთში საზღვარ-სამაშველო სამსახური მუშაობას უკვე შეუდგა

გვ. 2

ფოთელი საქართველოში

ფასი 50 თეთრი №21 19 - 26 ივნისი 2017 წელი\ გამოდის სამშაბათობით

,,აღარ უნდათ, უნესობას გადაეჩვიონ...,,

რატომ გართულდა გარევაჭრობის აკრძალვა ფოთში

ივეტა პაჭკორია
ფოთი

რამდენიმე თვის წინ დაწყებული გარევაჭრობის აკრძალვამ ძალა დაკარგა. განაწყებული გარემოვაჭრეები თავიდანვე პროგნოზირებდნენ, რომ აკრძალვა დიდხანს არ გასტანდა და მათი პროგნოზი გამართლდა კიდეც. დღეისათვის აგრარულ ბაზარსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობა აკრძალვამდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და იქ ჩატარებული ღონისძიების კვალიც აღარ ჩანს. აგრარული ბაზრის დირექტორი თეა ბელქანია კი კვლავ ამტკიცებს, რომ ეს მხოლოდ დროებითი მდგომარეობაა და სანაპიროს მოწესრიგების შემდეგ აკრძალვა ძალაში შევა.

ფოთის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი არჩილ მელიქია როგორც ამბობს,მოვაჭრეები მიჩვეულნი არიან უწესრიგობას, თვითნებურად ვაჭრობენ და მაღაზიის საზღვრიდანაც თვითნებურად გადმოვიდნენ: „ვაპირებთ, უფრო მკაცრად მივუდგეთ ამ საკითხს, მაგრამ ჯერ ისევ გაფრთხილებას გამოვიყენებთ, მერე კი პოლიციასთან ერთად დავიწყებთ აქტიურ მოქმედებას. რამდენჯერ გავაფრთხილეთ,რამდენიმე ოქმიც დავწერეთ,მაგრამ ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. არსებობს ალტერნატიული ადგილები და გარემოვაჭრეები აუცილებლად იქ უნდა გადავიდნენ. ყველაფრის მოგვარება

დასასრული 4-გვ.

ფოთის საკრებულომ წინააღმდეგობის მიუხედავად შეცვლილი ბიუჯეტი დაამტკიცა

გვ. 3

სენაკი არჩევნებიდან არჩევნებამდე

გვ. 3

თენგიზ ლომია: ,,სენაკში შეჩერებული სამუშაოები არ გვაქვს,,

გვ. 5

ფოთის სამშობიარო სახლს დახურვა არათუ ემუქრება არამედ ინვესტორის ძიებაშია

გვ. 6

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

საერთაშორისო ტურნირი კრივში

გვ. 7

ფოთელი ძიუდოისტების წარმატება

გვ. 7

ბავშთა ფესტივალი და 7 კაცა რაგბში

გვ. 7

საბა ხვიჩავა ბელარუსიის ჩემპიონატში პირველი ადგილის მფლობელია

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

ქეთი ჩებანი
(ფოთი)
598 40 10 23

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური

ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

ფოთელების მოსაზრებით ,,მეტი ქალი მმართველობაში და პოლიტიკაში,,

მარი ჯავახია
ფოთი

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად ჯერ კიდევ რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას უმრავლეს შემთხვევაში იგულისხმება - მდედრობითი სქესის პირებისთვის, მამრობითი სქესის პირებთან შედარებით, უთანასწორო მდგომარეობა. გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი შედარებით ახალი ფენომენია და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად.

გენდერული თანასწორობის ფარგლებში, ქალსა და მამაკაცს უნდა ქონდეს თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. უნდა მონაწილეობენ თანაბრად პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

ამ მიმართულებით „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ ინიციატივით ახალი კამპანია დაიწყო, რომელიც ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის იდეის პოპულარიზაციას და კაცების მხრიდან ქალი კანდიდატების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

„მთავარი თემა სამეგრელოში" დაინტერესდა რას ფიქრობენ ფოთელები ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ოჯახში თუ პოლიტიკაში. ჩვენ გამოვკითხეთ თითქმის ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. უმრავლესობის თქმით ძლიერი ქალი ყველა სფეროს სჭირდება და პოლიტიკაშიც გენდერული ბალანსი მაინც უნდა იყოს დაცული.

გამოკითხულთაგან იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებსაც მათივე სქესი საჭესთანაც კი აღიზიანებდათ არა თუ პოლიტიკაში. ზოგისთვისაც კი გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაც კი გასაშიფრი გაგვიხდა.

60 წლის დარეჯანი თვლის: „ადრე უფრო მოკრძალებულნი იყვნენ ქალები. ქალი საჭესთან, რომ ზის კაცს ვალდებულს ხდის გზა დაუთმოს და ზუსტად მაგათ გამო ხდება ავარიები. კაცს მეტი გამოცდილება აქვს და მეტი ჭკუა აქვს. ქალი უფრო ოჯახში, სამზარეულოში უნდა იყოს".

20 წლის თიკა მიიჩნევს, რომ: „ბალანსი დაცული უნდა იყოს, როგორც ოჯახში, ასევე პოლიტიკაშიც. 21 საუკუნეა და კაცი ვერ ადგამს თავს და ქალი რას იზამს, თუმცა დღეს კაცებსაც ვერ ვუგებ, რაც აშენებული იყო ისიც დაანგრიეს. ქალებიც არიან ჭკვიანები, მაგრამ ქალი მაინც დაბნეულია".

ქალებისგან განსხვავებით გამოკითხულ მამაკაცთა უმრავლესობა ქალთა აქტივობას პოლიტიკაში დადებითად ხსნის - „ქალიც შეიძლება იყოს ჭკვიანი".

„მე ნასწავლი კაცი არ ვარ, მაგრამ ქალებიც ჭკვიანები არიან და რა მნიშვნელობა აქვს ქალი იქნება თუ კაცი, მთავარია შეძლოს საქმის გაძღოლა. ქალებიც ჭკვიანები არიან"- გვითხრა 65 წლის, ტაქსის მძღოლმა ვალერი კვარაცხელიამ.

14 წლის ნიკას აზრით: „ქალები უკეთ შეძლებენ მართვას, ყოველ შემთხვევაში კაცებზე ნაკლებად არ მართავენ. ვხედავთ კაცები როგორ მართავენ და რატომაც არ უნდა იყოს მეტი ქალი პოლიტიკაში?"

„რა მნიშვნელობა აქვს ქალს და კაცს, მთავარია ჭკვიანი იყოს. მსოფლიოს ქალები მართავენ. ჭკვიანი ქალი ნებისმიერ სამსახურს ფეხზე დააყენებს"- ასეთია ფოლკლორის ცენტრის მენეჯერის გიგლა თურქიას მოსაზრება.

გამოკითხულთაგან იყვნენ ისეთი ქალბატონებიც, რომლებიც დღესაც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან.

ბიბლიოთეკების გაერთიანების უფროსის ნუნუ ჭელიძის განმარტებით „საქართველოში გენდერული ბალანსი აუცილებელია როგორც პოლიტიკაში ასევე მმართველობაში. ამიტომ უფრო მეტი ქალი უნდა იყოს მმართველობაში, ძლიერი მენეჯერი ქალი ყველა სფეროს სჭირდება. საკრებულოში აუცილებელია მეტი ქალი დეპუტატი იყოს, რადგან ქალის გონებას გაცილებით მეტი შეუძლია და ამ პოტენციალის გამოყენება მნიშვნელოვანია. ქალები ძალიან ძლიერები და შორს მჭვრეტელები არიან, ჩემი აზრით ამ მხრივ რაღაც ბალანსი პარლამენტში დაცულია. როგორც საქართველოს უახლოესმა ისტორიამ დაგვანახა ქალები უფრო ძლიერები ვართ."

კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი კესო კალანდარიშვილი თვლის, რომ ქალები დაჩაგრულები არიან, რადგან მეტი ქალი უნდა იყოს მმართველობაში და პოლიტიკაში. თუმცა იქვე განმარტავს "ძნელია ქალი ოჯახში და მაღალ თანამდებობაზე ერთდროულად კარგი მმართველი იყოს, მაგრამ ქალის სიძლიერიდან გამომდინარე ამას შეძლებს".

სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნინო ჯაკონია მამაკაცების როლის დაკნინებაზე საუბრობს: „კაცის ფუნქციები, რომ დაკნინდა დღეს ეს ნათლად ჩანს. ქალმა აიღო „ვერხი", ქალებმა მოიტანეს დღეს ოჯახი მათი მხრებით. ქალები არიან გადაცვენილები საზღვარგარეთ სამუშაოდ ოჯახის და შვილების სარჩენად. კაცები კიდე სხედან სახლში და ელოდებიან ქალის გამოგზავნილ ფულს და ზოგ შემთხვევაში ცოლის მიერ სიმწრით ნაშოვ ფულს სხვა ქალს ახარჯავენ".

უმრავლესობის აზრით გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით – დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მთავარია მათი ინტერესები იყოს თანაბრად გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. დღეს სწორედ უფლებებისა და ვალდებულებების გადანაწილების დეფიციტი გვაქვს.

„როდესაც საქართველოში დაიმსხვრევა სტერეოტიპი, რომ ქალმა მხოლოდ ოჯახში შვილები უნდა ზარდოს და მამები სტუმრებივით შემოდიოდეს ოჯახში, მაშინ შეიძლება გენდერზე საუბარი. მაშინ ვისაუბრებთ როდესაც ოჯახის პასუხისმგებლობას ერთნაირად გადაინაწილებს ქალი და მამაკაცი"- გვიხსნის სამი შვილის დედა.

ფოთის წისქვილკომბინატში აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა

ფოთის წისქვილკომბინატში აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა, დაშავებულებს აღენიშნებოდათ სხეულის დამწვრობა. დაშავებულები სხეულის დამწვრობით ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აფეთქების სავარაუდო მიზეზად ძრავის ნაწილის აფეთქება სახელდება. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

წისქვილკომბინატთან მობილიზებული გახლდათ სახანძრო-სამაშველო ბრიგადები და საპატრულო პოლიცია.

ფოთის მერიიდან გათავისუფლებულმა თამარ ჭოჭუამ სასამართლო დავა მოიგო

თამარ ჭოჭუა მერიაში ჩატარებული საჯარო მოხელეთა კონკურსის შემდეგ ფოთის მერის 1 მარტის ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს. ჭოჭუას განცხადებით კი სამსახურიდან მეუღლის პოლიტიკური შეხედულების გამო დაითხოვეს და ადგილობრივ ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებდა. თამარ ჭოჭუას მეუღლე სპორტსმენი ირაკლი ჭანტურია ნაციონალური პარტიის წევრია.

ფოთის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო ფოთის მერის 1 მარტის ბრძანება თამარ ჭოჭუას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და საატესტაციო კომისიას დაევალა თავიდან მოხდეს კონკურსის შედეგების გადახედვა ერთი თვის ვადაში.

აღნიშნულ საკითხზე ფოთის მერიაში კომენტარს არ აკეთებენ.

ფოთში საზღვაო-სამაშველო სამსახური მუშაობას უკვე შეუდგა

ფოთში საზღვაო სეზონისთვის შექმნილი სამაშველო სამსახური მუშაობას შეუდგა. შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი 18 კაციანი ჯგუფი აგვისტოს ბოლომდე მალთაყვის, კუნძულისა და ნაბადის სანაპირო ზოლზე განაწილდება,- ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

დღეს მალთაყვის სანაპირო ზოლზე მაშველებს ქალაქის მერი ირაკლი კაკულია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია და ააიპ ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი მიხეილ კილასონია შეხვდნენ.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებმა მაშველებს პირველადი დახმარების შესახებ ტრენინგი ჩაუტარეს.

„სამაშველო ჯგუფი სანაპიროებზე გადანაწილდნენ. ზღვის სანაპირო ზოლი 24 საათის განმავლობაში გაკონტროლდება. კატერებითა და სკუტერებით საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გვეხმარება. სწორედ ამ სააგენტოსთან ერთად ვიმუშავებთ ამ სეზონზე," - აღნიშნა მიხეილ კილასონიამ.

ფოთის საზღვაო-სამაშველო სამსახური მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.



ფოთის საკრებულომ წინააღმდეგობის მიუხედავად შეცვლილი ბიუჯეტი დაამტკიცა

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთის საკრებულოს მე-15 რიგგარეშე სხდომაზე მწვავე დებატები გაიმართა, რაც 2017 წლის ბიუჯეტში 15 ცვლილების შეტანამ გამოიწვია. საკრებულოს რამდენიმე წევრის უკმაყოფილებასთან ერთად ქალაქის მერის მუშაობაც გააკრიტიკა. მერიის მიერ ბიუჯეტის პროექტში სხვადასხვა ხარჯის შემცირების შედეგად ანსამბლ „ფაზისის" ისრაელის საერთაშორისო ფესტივალში გასამგზავრებლად თანხა 25 000 ლარი გამოიყო, ასევე ტურიზმის სამსახურს დაემატა გარკვეული თანხა. წარმოდგენილ საკითხებს „ევროპული საქართველოს" ორ წევრთან ერთად მმართველი გუნდის წარმომადგენელმა მაია ჩხარტიშვილმაც არ დაუჭირა მხარი.

საკრებულოს წევრების უკმაყოფილება აიპების გაერთიანებით მიღებულმა შტატებმაც გამოიწვია. აიპების გაერთიანების თავდაპირველი საფუძველი ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, ანუ „ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა გახლდათ. როგორც აღმოჩნდა, აიპებს შემოჭერის ნაცვლად, უფრო დიდი „ღიპი" აღმოაჩნდათ.

საკრებულოს „ევროპული საქართველოს" წევრმა ირაკლი დუნდუამ შანსი არც ამჟამად გაუშვა ხელიდან და სხდომაზე ქალაქის მერის კრიტიკით დაკავდა: „ქალაქის მერი უნიათოა. ადამიანებს ასაქმებს არაკვალიფიციურად. აიპებში გაერთიანებამდე თუ მუშაობდა 5 ადამიანი, დღეს 10 მუშაობს. გაჭირვებული მოსახლეობის კისერზე გადადის ამ ადამიანების დასაქმება. როდესაც სოციალური ფონი ძალიან დაბალია, ადამიანები წამლის ვაუჩერს ვერ იღებენ, სტაციონალური დახმარების თანხა ათვისებულია და ბიუჯეტში ამ კუთხით თეთრიც არ დარჩა, ზედმეტი ხარჯების გაწევა დაუშვებელია. ახალგაზრდების ევროპაში წასვლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ქალაქში უამრავი მოუგვარებელი პრობლემა დგას".

ბიუჯეტის ცვლილების წინააღმდეგი აღმოჩნდა და წარდგენილ პროექტს მხარი არ დაუჭირა საკრებულოს უმრავლესობის წევრმა მაია ჩხარტიშვილმა: „ზოგადად, წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ არ არის მკაცრად რეგლამენტირებული პრიორიტეტები. ბიუჯეტის ამ ცვლილებების არც ერთ მუხლს ხმა არ მივეცი. რაც შეეხება ანსამბლ „ფაზისს", აქაც ჩემი პოზიცია მაქვს. ვთვლი, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელსაც ბიუჯეტიდან თანხა სჭირდება, უნდა იყოს მიზნობრივი. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი სახელი უნდა გავიტანოთ საზღვარგარეთ, მაგრამ არ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ამის ფუფუნების უფლება გვაქვს, თან, როდესაც ჩვენ 15 000 ლარი გამოვყავით ამ ანსამბლის ფორმების შესაკერად ისრაელში ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. მაშინ ითქვა, რომ ამ ანსამბლის ხარჯებს დამეგობრებული ქვეყანა, ანუ ისრაელი იხდიდა. დღეს კიდევ 25 000 ლარი გამოყვეს. არ არის ცოტა თანხა იმ ფონზე, როდესაც გაჭირვებულ მოსახლეობას შეურაცხმყოფელ 70 ლარიან წამლის ვაუჩერს ვერ ვურიგებთ". ჩხარტიშვილი ასევე სპორტული აიპის დაფინანსების წინააღმდეგი აღმოჩნდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული სკოლების გაერთიანების ავტორი სწორედ ჩხარტიშვილი გახლდათ. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ხელმძღვანელობამ გაერთიანების პროექტს „ცოტათი" გადაუხვია, შტატებიც გაზარდა და შესაბამისად, ბიუჯეტიც გაიზარდა: „სპორტული გაერთიანებისათვის 40 000 ლარის გადარიცხვის წინააღმდეგი ვარ. სპორტის სამინისტროც კი, რომელსაც საკმაოდ მდიდარი ბიუჯეტი აქვს, ყველა ღონისძიებას მკაცრად აკონტროლებს. შეიძლება სხვაზე მეტად მესმოდეს, ჯანსაღი ცხოვრების წესი ბავშვებისათვის რას ნიშნავს, მაგრამ სპორტის გაერთიანება შეიქმნა ფორსირებულად, არავისთვის უკითხავთ რჩევა. აიპების გაერთიანების იდეა ჩემი იყო და ვამბობდი, რომ აიპები აუცილებლად უნდა მოექცნენ ერთი ქოლგის ქვეშ. მაგრამ ახალი მონსტრი შექმნეს, როცა შეიძლებოდა ამათი დაქვემდებარება სპორტის სამსახურთან, მაქსიმუმ სამი შტატით. დღეისათვის ქალაქში სპორტს ორი სხვადასხვა ერთეული კურირებს, რას ნიშნავს ეს? ვერ

დასასრული 4- გვ.

სენაკი არჩევნებიდან არჩევნებამდე

ინგა გვასალია
სენაკი

ცოტაოდენი დრო რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებამდე. ამდენად, უპრიანია, ხალხის რჩეულთა საქმიანობის შეჯამება. რა დაპირებები გასცეს მათ და რისი შესრულება მოახერხეს არჩევნებიდან არჩევნებამდე? ამის გასაგებად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვეწვიეთ.

სოფელ ზანის მაჟორიტარი ზურაბ აფაქიძე დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ 2014 წელს, ამჟამად „ქართული ოცნების" წევრია და საკრებულოში ფრაქცია „სენაკელების" თავმჯდომარეცაა. იგი უკვე მეორედ აირჩია სოფელმა თავის წარმომადგენლად.

ზურაბ აფაქიძეს კონკრეტულად თავისი წინასაარჩევნო პროგრამის შესრულების „ანგარიში" ვთხოვეთ. იგი წინასაარჩევნოდ ზანის მოსახლეობას პირდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძოდ: გზების მოხრეშვა-მოგრეიდერებასა და ასფალტირებას, მოსაცდელებს, სტადიონს. როგორც დეპუტატი ამბობს, მან დაპირებების უმრავლესი ნაწილი შეასრულა.

ზურაბ აფაქიძე თავისი საარჩევნო პერიოდის ყველაზე წარმატებულ პროექტად 2 კილომეტრნახევარზე მეტი ასფალტირებული გზის გაკეთებას მიიჩნევს სოფელ ზანაში ეწერის მიმართულებით, რომელსაც საუკუნის პროექტს უწოდებს.

გადავწყვიტეთ აფაქიძის მიერ ნახსენები საუკუნის პროექტი ადგილზევე გვენახა და თავად მოსახლეობას გავსაუბრებოდით. სოფლის ცენტრში შეკრებილებმა როგორც აგვიხსნეს ეწერის მიმართულებით იმდენად საშინელი გზა იყო, მოსახლეობას სიარული უჭირდა. მას „მოუსავლეთსაც" კი ეძახდნენ მწარე ხუმრობით. განსაკუთრებით კი იტანჯებოდნენ ბავშვები, რომლებსაც სკოლამდე მისასვლელად 7-8 კილომეტრის ფეხით გავლა ოღრო-ჩოღრო ტალახიან გზაზე უწევდათ. ამჟამად ეს პრობლემა მოგვარებულია.

სოფლის მოსახლეობა გაკეთებულით კმაყოფილი აღმოჩნდა. ჩვენს მიერ გამოკითხულთა უმრავლესობამ დადებითად დაახასიათა სოფელში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. განსაკუთრებით, მადლიერი გახლდათ ეწერის მიმართულებით გზაზე მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც, ბოლოსდაბოლოს, ეღირსა ნორმალური გზა 21-ე საუკუნეში. თუმცა, ზანელებს არც შეუსრულებელი დაპირებები და მასთან დაკავშირებული კრიტიკა დაგვიწყებიათ. მათი თქმით დაპირების მიუხედავად სოფელში არ გაკეთებულა რამდენიმე სტადიონი, შიდა ქუჩები. ასევე არ დაკლებულა საწვავისა და ელექტროენერგიის საფასური.

ჩვენ დეპუტატს დაპირებების შეუსრულებლობის მიზეზი ვკითხეთ. მან ეს მცირე ფინანსებითა და დეპუტატობის ვადის დასრულების მოახლოებით ახსნა, მაგრამ იქვე დაამატა, რომ შეუსრულებელი საქმეების დამთავრებას მესამე ვადით არჩევის შემთხვევაში აპირებს.

აფაქიძემ ჩვენთან საუბარში გულახდილად აღიარა, რომ გაცემული დაპირებების შესრულება არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, მაგრამ როგორც ამბობს, არც მონდომება დაუკლია და არც კეთების სურვილი განელებია. როგორც დეპუტატი ამტკიცებს, გაცემული წინასაარჩევნო დაპირებების 80% შეასრულა. მან ხატოვნად ისაუბრა სენაკში მისი გუნდის მიერ გაკეთებულ საქმეებზე და საუბარში ხშირად ურთავდა - თავადაც ხომ ხედავთო: „გასულ წელს ქალაქში 16 ქუჩა მოასფალტდა, მიმდინარე წელს კი - 17. ასფალტის საფარი დავაგეთ რამდენიმე სოფელშიც. აქამდე სოფლებში არაფერი კეთდებოდა, გამოყოფილი ფული „სადღაც" მიდიოდა. ამჟამად კი დანიშნულებისამებრ, სოფლის საჭირბოროტო საქმეების მოსაგვარებლად იხარჯება. რაც მოსახლეობას სჭირდება, სწორედ იმის გაკეთებაზე ვართ ორიენტირებულნი".

ზანის დეპუტატმა როგორც გვითხრა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ხშირად მიმართავს საკრებულოს დახმარებისა და სხვადასხვა პრობლემის მოგვარების მიზნით: „მოსახლეობა მოდის ფრაქციისა თუ კომისიების თავმჯდომარეებთან, მათთან ერთად განვიხილავთ პრობლემებს და ამის მიხედვით მათთან ერთადვე ვაგვარებთ".

პარტია „ქართული ოცნების" მიერ გაცემული წინასაარჩევნო დაპირებები შევახსენეთ ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატს

სოფელი ზანა ეწერის უბანი

დასასრული 4-გვ.

,,აღარ უნდათ, უწესობას გადაეჩვიონ...,,

რატომ გართულდა გარევაჭრობის აკრძალვა ფოთში

დასაწყისი პირველ გვერდზე

შეიძლება მშვიდობიანად და ყველასათვის მომგებიანად, მაგრამ მიჩვეულები არიან ამ უმსგავსობას და აღარ უნდათ უწესობას გადაეჩვიონ". ადგილობრივ ხელისუფლებასა და შპს „ლუკას" შორის გაფორმებული მემორანდუმის შემდეგ ჩატარებულ სანქციებს გარემოვაჭრეების უკმაყოფილება-უნდობლობა მოყვა. მათი მტკიცებით, გარევაჭრობა არაერთხელ აიკრძალა, მაგრამ დროის შემდეგ ისევ დაუშვეს. მელიქიას ამაზეც აქვს პასუხი: „გარემოვაჭრეებს კეტს ხომ ვერ ჩავარტყამთ თავში და რა ვქნათ? ჯერ გაფრთხილებაა, მერე ჯარიმებიც იქნება. გარევაჭრობასთან დაკავშირებით ჯარიმებს წერს პოლიცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. პირველი ჯარიმა 30-50 ლარამდეა, შემდეგ ზომები მკაცრდება. დახლების უნებართვოდ განთავსებაზე კი ადმინისტრაციული სამართლის დარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური წერს ჯარიმას, რაც 500 ლარს შეადგენს. საქმე ის გახლავთ, რომ 500 ლარიანი ჯარიმის დაკისრება ამ კატეგორიის ადამიანებისათვის ძალიან მძიმეა. მიუხედავად ამისა, ურჩ მოვაჭრეზე ამ თანხის დაკისრების შემთხვევაც გვქონდა, თუმცა ამანაც არ (ვერ) გამოიღო შედეგი. ყველა მაღაზიას აქვს საწყობი, მათთან რომ მივდივართ, გვეუბნებიან - გარევაჭრობას მიხედეთ და მერე შევიწევი მაღაზიაშიო. მუდმივად ერთმანეთისაკენ იშვერენ თითს. თითქოს ყველას თავისებურად მართალია. ზოგადად, ძალიან რთული სიტუაციაა და არ აღმოჩნდა ასე ადვილად მოსაგვარებელი, მაგრამ დამეთანხმებით, რომ აუცილებლად მოსაგვარებელია".

მელიქიას თქმითვე, გარე ვაჭრობის პირობებში დარღვეულია და არ გახლავთ დაცული უსაფრთხოების, თუნდაც სახანძრო უსაფრთხოების ნორმები: „ტრაგედიის შემთხვევაში, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ დაგვადანაშაულებენ. დღეს თუ გამოდის და ლუკმა-პურს მართმევო - მეუბნება, რამე რომ მოხდეს, პირიქით, ტრაგედიის მიზეზად ჩვენ დაგვასახელებს. არავის ვართმევ ლუკმა-პურს, უბრალოდ კანონი ყველამ უნდა დაიცვას. თანაც, იქ საშინელი ანტისანიტარიაა".

ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიუხედავად, დღეისათვის ბაზარში არ შეიმჩნევა, რომ გარევაჭრობის წინააღმდეგ რამე ზომა გატარდა. ვაჭრები ისევ ისე ზიან ქუჩაში და საკვები პროდუქტი ქუჩის დახლებზე ანაც პირდაპირ ქუჩაში დადებული პარკიდან იყიდება".

რატომ ხერგავდნენ ცენტრალურ გზას მაღაზიის მეპატრონეები? ჩვენთან საუბარს ყველამ თავი აარიდა იმის მომიზეზებით, რომ ისინი მხოლოდ გამყიდველები არიან. გარემოვაჭრეები კი ვაჭრობის აკრძალვას კვლავ აპროტესტებენ და ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ მოსახლეობისათვის ელემენტარული პირობების შექმნას, მხოლოდ ამის შემდეგ სილამაზეზე ზრუნვას ურჩევენ. მაღაზიებში მოვაჭრეთაგან განსხვავებით, მათ შეკითხვებს უპასუხეს, თუმცა ვინაობის გამხელა მაინც არავინ ისურვა. „ჯერ სამუშაო ადგილები მოიძიონ და ბაზრის დალაგებაზე მერე იფიქრონ. ერთადერთი სამუშაო ადგილი ქალაქში, სადაც ლუკმა პურის შოვნა ჯერ კიდევ შეიძლება, ბაზარია და იქიდანაც რომ გვყრიან, სად წავიდეთ? რამდენიმე თვის წინაც აგვყარეს, მეც შევედი შიგნით, მაგრამ ვერაფერი ვივაჭრე და სხვებმა ისევ გარეთ რომ დაიწყო ვაჭრობა, მეც გარეთ გამოვედი. მშიერ კაცს სილამაზე ვერ გააძღებს" - გვითხრა ერთ-ერთმა გარემოვაჭრემ. ნაზი ქებურია როგორც ამბობს, სახლში სამი შვილიშვილი ყავს და მის ხელს შეყურებენ, შვილი კი დაღუპული ყოლია: „მაინტერესებს, ადგილობრივ მთავრობას ყველაფერი დალაგებული აქვს და მარტო გარევაჭრობის აკრძალვაღა დარჩა მოსაგვარებელი? რომ მეუბნებით, ბაზრის შიგნით ხომ გაძლევენ ალტერნატიულ ფართსო, ვიყავი შიგნითაც, მაგრამ ვიდექი მთელი დღეები ტყუილად, ვერაფერი ვივაჭრე. იქ მდგომთ უკვე ყავთ თავიანთი კლიენტები და ჩემთან არც არავინ მოსულა".

მელიქიას თქმისა არ იყოს, ორივე მხარეს - მოვაჭრეებსაც და ბაზრის დირექციასაც თავიანთი სიმართლე აქვთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საკვები პროდუქტი ღია ცის ქვეშ არაჰიგიენურ პირობებში გაყიდვის მიუხედავად, მყიდველები ჯიუტად ბაზარში შიგნით შესვლას გარეთ ყიდვას ამჯობინებენ (?!).

სენაკი არჩევნებიდან არჩევნებამდე

დასაწყისი მე-3 გვ.

ავთანდილ ფოცხვერაიასაც. რომელმაც ქალაქში უკვე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, დაპირებისამებრ გზების გარდა გაკეთდა სანიაღვრე არხები, მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემა, რაც შეეხება დასაქმებას, გაკეთდა რამდენიმე მცირე საწარმო. ასევე, განხორციელდა რამდენიმე სოციალური პროგრამაც.

ჩვენ ასევე შევეხეთ ქართული ოცნების მთავარ დაპირებათაგან ერთ-ერთს - ენერგომატარებლებზე ფასის დაწევის დაპირებას, რომელიც პირიქით, გაძვირდა ამ ხნის განმავლობაში. დეპუტატმა გულახდილად აღიარა, რომ ყველა დაპირების შესრულება შეუძლებელია და უამრავი დაპირება მისმა გუნდმა პირნათლად შეასრულა. ჩვენ გადავწყვიტეთ მისი სიტყვები მოსახლეობაში გადაგვემოწმებინა და რამდენიმე მოქალაქეს გავესაუბრეთ:

ნაირა ესაკია 46 წლის: „სიმართლე გითხრათ, ამ გუნდისგან უფრო მეტს მოველოდი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მაგრამ ვერ ვიტყვი რომ არაფერი გაკეთებულა".

ანზორი ტაბაღუა 25 წლის: „უნივერსიტეტი საკმაოდ წარმატებულად დავამთავრე მაგრამ სამსახური არ მაქვს და ეს ერთ ერთ მთავარ პრობლემად მიმაჩნია. ჩემს მდგომარეობაში ბევრი ახალგაზრდაა. ხუმრობით ვიტყოდი – ასფალტი ვჭამოთ? რა თქმა უნდა რაც გაკეთდა, მისასალმებელია, მაგრამ დასაქმება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს".

ვაჟა ბაღათურია 67 წლის: „ყველაფერი მომწონს, რაც გაკეთდა, მაგრამ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უცვლელია ან პირიქით, ხშირ შემთხვევაში გაუარესდა. ჩვენი მოქალაქეები საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ ლუკმა პურის ფულისათვის. ეს მიუღებელია ჩემთვის".

ნაზი ხაფავა 61 წლის: „პენსიაში გავედი და მიხარია, რომ ორიოდე გროში მაინც მაქვს ამ მთავრობის ხელში. ეს პენსია მიზერულია, მაგრამ ახალგაზრდებს ვჯობივართ, იმათ სულ არ აქვთ შემოსავალი. ამაზე უნდა იზრუნოს მთავრობამ და არა საკუთარი ჯიბეების გასქელებაზე. ჩვენ ელემენტარული პირობები არ გვაქვს და ისინი კიდევ პრემიების თვლას ვერ აუდიან".

სოფელი ზანა

ფოთის საკრებულომ წინააღმდეგობის მიუხედავად შეცვლილი ბიუჯეტი დაამტკიცა

დასაწყისი მე-3 გვ.

გავხდები ბიუჯეტის ფლანგვის მონაწილე"-კატეგორიული გახლდათ ჩხარტიშვილი. მას მიაჩნია, რომ აუცილებელია ყველამ იცოდეს, სად მიდის ეს თანხები. ჩხარტიშვილმა ტურიზმის სამსახურის მაშველების დასაფინანსებლად 23 000 ლარის დამატებასაც არ დაუჭირა მხარი და აქაც შტატების სიმრავლეს გაუსვა ხაზი: „შეიძლება დამაბრალონ, რომ მე მაშველების წინააღმდეგი ვარ, შარშან დიდი აურზაური მქონდა, რატომ არ გვყავს მაშველებიმეთქი, მაგრამ ტურიზმის აიპი ძალიან გაბერილია და დიდი სახელფასო ფონდი აქვს. თავიდან ითქვა, რომ მაშველების ფული შევიდოდა ტურიზმის სამსახურის ბიუჯეტში. დღეს კი ცალკე დასამატებელი ხდება თანხები. არ შეიძლება ამხელა თანხა და შტატები ქონდეს ტურიზმის სამსახურს ფოთში, თან არც ერთი კვალიფიციური სპეციალისტი ტურიზმის განხრით არ მუშაობს. შტატები ისე იზრდება, უკვე არ ვიცი, რამდენი თანამშრომელი ყავთ"- აცხადებს ჩხარტიშვილი.

საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა ოთარ ხარჩილავამ ქალაქის მერის საქმიანობა დაიწუნა და მას გადადგომისკენაც კი მოუწოდა: „ჩვენი ქალაქის მერი მაგალითია, როგორი არ უნდა იყოს მერი. მოსახლეობას ერთი სული აქვს, როდის გავა მისი მმართველობის ეს 4 წლიანი „შავი პერიოდი". მის ადგილას მე თანამდებობას დავტოვებდი და მასაც მოვუწოდებ, ასე მოიქცეს".

ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი საკრებულოს რამდენიმე წევრის თავგამოდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დამტკიცდა.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘᲐ

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სამშობიარო სახლები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ფუნქციონირებას ვეღარ შეძლებენ. რამდენიმე ქალაქში უკვე დაიხურა სამშობიარო სახლები, მათ შორის სენაკშიც. გავრცელებული ეჭვი, რომ ფოთის სამშობიარო სახლიც ვერ დააკმაყოფილებდა ფუნქციონირებისათვის საჭირო სტანდარტებს და დაიხურებოდა, არ გამართლდა.

ფოთის სამშობიარო სახლი 83 წელია ფუნქციონირებს, თუმცა ბოლო წლებში იგი სავალალო მდგომარეობაში იყო. მედპერსონალი ამას სამშობიარო სახლის თავდაპირველ მმართველებსა და ზოგ ექიმს შორის არსებულ უთანხმოებას უკავშირებს. გასულ წელს ფოთში ჩამოსული ჯანდაცვის მინისტრის უკმაყოფილება გამოიწვია ფოთის სამშობიარო სახლის მდგომარეობამ. სამშობიარო სახლის იმჟამინდელმა დირექტორმა რუსუდან დიასამიძემ სამშობიარო სახლის მოსაწესრიგებლად დრო ითხოვა. კერძო კომპანიების დახმარებით სამშობიარო სახლის მდგომარეობა რამდენიმე თვეში მართლაც გამოსწორდა და დღეისათვის, ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ფოთის გაერთიანებულ სამშობიარო სახლს "A" კატეგორია მიენიჭა. დაწესებულებას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა ტექნიკა, მოწესრიგდა პალატები, სველი წერტილები, გაკეთდა ინდივიდუალური სამშობიარო ბლოკი, განახლდა ახალშობილთა ინტენსიური მოვლის პალატა, გაყვანილ იქნა ცენტრალიზირებული ჟანგბადის მიწოდება. მისაღებში განთავსდა ეკრანი, სადაც მამებსა და ოჯახის სხვა წევრებს ახალშობილის ნახვა შეუძლიათ.

სამშობიარო სახლის დირექტორ ნანი მორგოშიას განმარტებით: „სამეანო სამსახურის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული რეორგანიზაციის პროგრამა 2015 წელს დაიწყო და 2018 წელს მთავრდება. პროგრამა ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობების მიხედვით მომსახურეობის დონის განსაზღვრას. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ შევძელით "A" დონის მიღება. გამოცხადებული იყო - წელიწადში 500-ზე ნაკლები მშობიარე ეყოლება, ის სამშობიარო დაიხურებაო, მაგრამ, რადგანაც ქალაქში "A" დონის ერთი სამშობიარო სახლი გვაქვს,ჩვენ ფუნქციონირებას ვაგრძელებთ. ჩატარებული რემონტის შემდეგ სრულად ვაკმაყოფილებთ სტანდარტებს. რაც შეეხება კადრებს, შესანიშნავი ექიმები და მედპერსონალი გვყავს. როდესაც შესამოწმებლად ჩამოვიდნენ, აღფრთოვანებულები დარჩნენ, ასე მოკლე დროში, რომ მოვაგვარეთ არსებული პრობლემა. ახლა ჩვენ ,,B" დონის მოსანიჭებლად ვიბრძვით. ამის მისაღწევად კი სხვადასხვა წვრილმან საქმესთან ერთად, აუცილებელი პირობაა ვენტილაციის გაკეთება, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება".

ნანი მორგოშია სამშობიარო სახლს მეოთხე თვეა ხელმძღვანელობს. ფოთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქალაქ გარეთ მშობიარობას არჩევს. დავინტერესდით რა არის ამის მიზეზი და რა პროექტებს განახორციელებს სამშობიარო სახლის ახალი დირექტორი პაციენტების მოსაზიდავად. „ეს პრობლემა სათავეს ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს, როცა ქალთა კონსულტაციის კაბინეტები გაიხსნა და ფოთელი ექიმები თავიანთ პაციენტებს სხვადასხვა ქალაქში აგზავნიდნენ. ადრე სენაკიდან და რეგიონებიდან ჩვენთან ჩამოდიოდნენ, ახლა პირიქით ხდება" - გვითხრა მორგოშიამ.

სამშობიარი სახლში იყო მშობიარეთა სიკვდილიანობის შემთხვევები, რამაც ქალაქის მოსახლეობაში ნდობა დაუკარგა სამშობიარო სახლს. მორგოშიამ როგორც განმარტა: „მსგავსი შემთხვევა ყველგან შეიძლება მოხდეს. გეთანხმებით, ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა. ცოტა ხნის წინ სენაკის სამშობიაროშიც დედა-შვილის მდგომარეობა გართულებულა და ჩვილი გარდაცვლილა. დღეს ბაზარში გავიგონე საუბარი, თითქოს ფოთში მომხდარა ეს ამბავი. ვისთანაც სხვა ქალაქებიდან დადიოდნენ წლების წინ, ის ექიმები დღესაც მუშაობენ. მერწმუნეთ, უდიდესი ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ და არავისზე ნაკლები არ არიან ჩვენი ექიმები, მაგრამ ყველანაირ უბედურებას რატომღაც, მაინც ჩვენ გვაწერენ. პროფესიონალიზმთან ერთად აუცილებელია სამშობიარო სახლი მთლიანად ესტეტიკურადაც ლამაზად გამოიყურებოდეს და თანამედროვე ტექნიკა გააჩნდეს. მართალია, ჩვენ სამშობიარო სახლის ნაწილი გავაკეთეთ, გესიამოვნებათ შემოსვლა, მაგრამ მოგეხსენებათ, შენობა საკმაოდ დიდია, ესაჭიროება გადახურვა, ფასადისა და ფოიეს მოწესრიგება".

ჯანდაცვის მინისტრის ფოთის სამშობიარო სახლში სტუმრობის შემდეგ, მან ყოფილ დირექტორს ურჩია პროექტებისა და გრანტების მოძიება, ინვესტორის შემოყვანა, რაიმე სახის ღონისძიების ჩატარება სამშობიარო სახლის გადასარჩენად. მორგოშიას თქმით, ამ საკითხზეც მიმდინარეობს მუშაობა. მათ დახმარების გასაწევად ადგილობრივ ხელისუფლებასაც მიმართეს, მაგრამ ხელისუფლებაზე განაწყენდნენ, რადგან სახურავის გადახურვაში ნაწილობრივ დახმარებაზეც უარი მიიღეს - ეს კერძო სექტორია და ვერანაირ დახმარებას ვერ გაგიწევთო. „გვესმის, რომ კერძოა, მაგრამ ქალაქში ერთადერთი სამშობიარო სახლია და ხომ შეიძლება რაიმე სახის დახმარების გაწევა? ამჟამად ვეძებთ ინვესტორს, ვინც შეძლებს დახმარებას. ადრე რადგან კერძო ვიყავით, არ გვინდოდა გასხვისება. უკვე გვესმის, რომ მარტო ჩვენი ძალებით ვეღარ შევძლებთ ამ ყველაფრის გაკეთებას. მთავარია, ყიდვის შემდეგ ინვესტორმა სამშობიარო სახლზე იზრუნოს, პროფილი შეინარჩუნოს და ჩვენმა მომავალმა დედებმა უსაფრთხოდ, კომფორტულ გარემოში იმშობიარონ".

თენგიზ ლომია: ,,სენაკში შეჩერებული სამუშაოები არ გვაქვს,,

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

„მთავარი თემა სამეგრელოში" სენაკის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა და იქ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო. სენაკის გამგებლის მოადგილე თენგიზ ლომიამ სიამაყით გამოგვიცხადა, რომ ქალაქში არცერთი შეჩერებული სამუშაო არ აქვთ და ტენდერის პირობებსაც სათანადოდ ეცნობიან. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის სენაკში 3 584 000 ლარია გამოყოფილი - 38 % ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება გახლავთ, ხოლო 62 % რეგიონალური განვითარების პროექტებიდან ფინანსდება. როგორც სენაკის გამგებლის მოადგილემ გვითხრა: „ადრე თანადაფინანსების თანხა მხოლოდ 5 % იყო. ჩვენ, ძირითადად, ტრანსფერებზე ვართ, ჩვენი შემოსავალი სულ 2 მილიონია. „ქამრეების შემოჭერის" პროგრამის ფარგლებში გამოვათავისუფლეთ 1 000 500 ლარი, რაც მთლიანად ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაში წავიდა. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ქალაქის ცენტრში, კინოს წინ მდებარე მოედანს უკეთდება რეაბილიტაცია. სამჯერ გამოვაცხადეთ ტენდერი და სამივეჯერ დისკვალიფიკაცია მივეცით მონაწილეებს, რადგან არ აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს არც ერთი. ამ საქმეს ძალიან კრიტიკულად ვუდგებით. მე-4 გამარჯვებულმა დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნები. ამავე დროს გამოცდილებაც შესაბამისი აღმოაჩნდა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 2 200 000 ლარი გახლდათ, მაგრამ კონკურსის შედეგად ეკონომია მივიღეთ". როგორც წესია, ტენდერის დროს ყურადღება ექცევა დაბალ ფასს, თუმცა, სენაკის შემთხვევაში ლომიას მტკიცებით სამშენებლო კომპანია სანამ სამხარაულის დასკვნას არ მოიტანს, რომ მას რეალურად შეუძლია ამ ფასად სამუშაოს შესრულება, ტენდერში გამარჯვებულად არ აცხადებენ. მაგალითად შპს „არქეოპოლისს", რომელიც გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს, თავისი კარიერი აქვს და უფრო იაფი უჯდება ნედლეული. ლომიას განმარტებით: „ტენდერი იმიტომაა, რომ სამუშაოები ნაკლები დაუჯდეს სახელმწიფოს, მაგრამ ტენდერში მონაწილე კომპანიამ ფასი თუ დააგდო, ეს იმას არ ნიშნავს, ხარისხსაც დაუწიოს. ამის საშუალებას ჩვენ არ ვაძლევთ. გვქონდა შემთხვევა, როდესაც 30 მეტროიანი დასხმული კედელი დავანგრევინეთ, რადგან არ მოგვეწონა. სენაკში შეჩერებული სამუშაოები არ გვაქვს. როდესაც თათბირს ვესწრებით ზუგდიდში, სჩანს, რომ მსგავსი პრობლემა ძალიან ბევრ ქალაქს აქვს. ჩვენ მსგავსი პრობლემა არ



გვქონია და არც გვექნება, იქიდან გამომდინარე, რომ თავიდანვე ვსწავლობთ კომპანიის საქმიანობას, ვგებულობთ პირამიდაზე მომუშავეა, „ბოგია უიშვილია" თუ რეალურად საქმის მკეთებელი. გვირჩევნია, თავიდანვე იყოს ყველაფერი გარკვეული. მაგალითად, ერთ-ერთ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიაზე ვიცოდით, რომ დაიწყებდა სამუშაოებს, აიღებდა და მერე სამუშაოებს მიატოვებდა, ამიტომ, როდესაც გარკვეული სამუშაოები ჩაატარა და შუალედური, მთლიანი თანხის 20 % უნდა აეღო, სანამ ნახევარი სამუშაო არ შეასრულა, ჩვენ ის 20 პროცენტი არ მივეცით. ასეთ შემთხვევაში, უფრო ყურადღებით უნდა იყო და დაცულიც მეტად ხარ".

მიმდინარე წელს სენაკში პრიორიტეტული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები გახლავთ. როგორც ბატონმა ლომიამ გვითხრა, 2017 წელს სენაკში 16 შიდაქუჩას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება, ასევე კაპიტალურად შეკეთდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული ასფალტირებული გზები. ასფალტის საფარი დაიგო 5 სოფლის - ნოსირის, თეკლათის, ეკისა და ზანის თემში, ასევე დაიგო ზანა ეწერის გზა. გამგებლის მოადგილის თქმითვე, გზები და ქუჩები მოსახლეობის მოთხოვნითა და გზების მდგომარეობის მიხედვით შეირჩა. მოსახლეობის ეჭვი იმაზე, თითქოს სოფელ მენჯში სოფლის სასაფლაომდე მისასვლელი გზის ასფალტირების პროექტი ერთ-ერთი მოსახლის მოთხოვნით შეცვალეს, მერის მოადგილემ კატეგორიულად უარყო: „პროექტის შეცვლა როგორ შეიძლება? ეს წარმოუდგენელია" - გვიპასუხა

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 6-ᲒᲕ.

თენგიზ ლომია: „სენაკში შეჩერებული სამუშაოები არ გვაქვს„

დასაწყისი მე-5 გვ.

მან.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ვახტანგ ფაცაციას თქმით, 2018 წელს სენაკში არც ერთი ქუჩა არ დარჩება გაუკეთებელი:„ჩვენი ბიუჯეტი 12 000 000 ლარია, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ 2 000 000 ლარია, 10 000 000 ლარი მთლიანად ტრანსფერია. რაც შეეხება ასფალტობეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამურ ღირებულებას, ამ სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული „არქეოპოლისი" ახორციელებს და შეადგენს 1 535 777 ლარს. ასევე ხორციელდება მრავალსართულიანი კორპუსების ეზოს კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების აღდგენა და ბორდიურების მოწყობა, რომლის ღირებულება 242 642 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს „ოსო" ახორციელებს. სამუშაოებზე დასაქმებულია 17 ადგილობრივი მცხოვრები. ანალოგიური პროექტი განხორციელდება ვაჩნაძის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებშიც. აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, ქალაქის მასშტაბით, კეთილმოეწყო 40 მრავალსართულიანი კორპუსის ეზო. თეკლათის თემში სასაფლაოსთან მეწყერმა ჩამოშალა მიწა და სამი საფლავი თან ჩაიტანა. მყვინთავები ჩამოვიყვანეთ, რომ გარდაცვლილები მოეძებნათ. გაკეთდა კედელი, რომლის ღირებულება 100 000 ლარი იყო".

როგორც გავარკვიეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება სამხატვრო გალერეას, რომელსაც რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს და რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 126 080 ლარს. პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება შენობის შიდა ინტერიერი, განახლდება ფასადი, დამონტაჟდება სამუზეუმო განათების, გათბობისა და კონდიცირების თანამედროვე სისტემები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის ორივე სართულზე არსებული სამუშაო სივრცეებისა და სადემონსტრაციო დარბაზების სრული რეაბილიტაცია. პარალელურად, იცვლება ელექტრო გაყვანილობის და წყალმომარაგების ქსელები, იატაკი, ჭერი და კარ-ფანჯრები. აღნიშნულ სამუშაოზე დასაქმებულია ასევე ადგილობრივი 25 ადამიანი. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და აგვისტოში დასრულდება. მშენებლობის სამსახურის უფროსის თქმით, ქალაქში ეტაპობრივად მიმდინარეობს სამუშაოები და სამუშაოების სირთულიდან გამომდინარე, ცდილობენ, ყველა სფერო მოიცვან: „ვცდილობთ. შეძლებისდაგვარად. ყველა სფეროს მივხედოთ, მაგალითად. ძველ სენაკში დანგრეული იყო 22-ამდე ხიდ-ბოგირი, აქედან რვას უკვე ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. დანარჩენებსაც თანხის მიხედვით ვაკეთებთ. როგორც თანხა შემოდის იმის მიხედვით ვახდენთ რეაგირებას. რუსთაველის გზას უტარდება რეაბილიტაცია, მოხდება ქუჩის გაფართოება, გაკეთდება წრიული, დაიგება ქვაფენილები, გაკეთდება განათებები. შენდება ორი ახალი ორსართულიანი, თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღი, რომელიც ბაღების შესახებ ახალი კანონის თანახმად, მოთხოვნილ სტანდარტებს დააკმაყოფილებს".

ფოთში ირეოდი ტიკარაძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა

მარი ჯაფარიძე
ფოთი

ფოთში ირეოდი ტიკარაძის დაბადების 75–ე და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50–ე წელი აღინიშნა. ხელოვნების ქურუმისა და ფოთის საპატიო მოქალაქის საიუბილეო საღამო ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. საღამოს ირეოდი ტიკარაძის ხელოვნების თაყვანისმცემლის, მეგობრების, მოსწავლეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების გარდა საპატიო სტუმრები ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ანზორ ერქომაიშვილი,ჯემალ ჭკუასელი, რამინ მიქაბერიძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ფოთის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა ირეოდი ტიკარაძის სახელობის ვარსკვლავი.

ირეოდი ტიკარაძის საიუბილეო საღამო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოეწყო. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრშივე გაიმართა ირეოდი ტიკარაძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაც

„თითოეული ბავშვით ვამაყობ...„

„ანაბელას„ „თოლიები„ ზეიმით გამოეთხოვნენ

მარი ჯაფარიძე
ფოთი

ფოთში 1 საბავშვო ბაღ „ანაბელაში", ჯგუფმა „თოლიებმა" საბავშვო ბაღის დამთავრება და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა ზეიმით აღნიშნეს. ლამაზ კოსტუმებში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს ხუთი წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და ამ ზეიმით მადლობა აღმზრდელებს გადაუხადეს. საზეიმო განწყობა მოწვეულ სტუმრებსა და მშობლებს საბავშო ბაღის ჭიშკრის შეღებისთანავე ექმნებოდა, გემოვნებით მოწყობილი ეზოსა და ბაღის შენობაში ყვაილების უმშვენიერესი ბილიკი ბაღის მუსიკალურ დარბაზში ზღაპრულ სამყაროს ქმნიდა. სწორედ ასე უწოდა ერთ-ერთმა მშობელმა ლია კონცელიძემ პატარების ზეიმს: „ეს არის ზღაპრული სამყარო, სადაც პატარებმა და ბაღის თანამშრომლებმა გვასეირნეს. უსაზღვროდ მადლობელი და კმაყოფილი ვარ ამ ზეიმით და ამაყიც,რომ ასეთი ნიჭიერი თაობები გვეზრდება". ღონისძიების დაწყების წინ აღმზრდელ- მასწავლებლებმა ნატო ქობალავამ და ქეთი ქაჯაიამ, ფატიმა შონიამ და საბავშვო ბაღის გამგე ლალი კორტავამ პატარებს ცხოვრების გზა დაულოცეს, წარმატებები უსურვეს და დარბაზში შეუძღვნენ. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა პატარების მიერ ნამღერი სიმღერები, ქართული ცეკვების პოპური თუ ევროპული ცეკვები. განსაკუთრებული ხალისი ბავშვების მიერ შესრულებულმა „ლამბადამ" გამოიწვია. ზეიმის ბოლოს პატარებს საბავშვო ბაღის დამთავრების მოწმობები გადაეცათ. ღონისძიება ფეიერვერკით დასრულდა, რამაც პატარები განსაკუთრებით გაახალისა. ღონისძიებით ყველზე კმაყოფილი აღსაზრდელების მშობლები დარჩნენ.

ბაღის კურსდამთავრებულებს სკოლისაკენ გზა სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების უფროსმა მარგო ჯანუაშვილმაც დაულოცა: „დავამთავრეთ სასწავლო წელი, სკოლაში გავაცილეთ 21 ჯგუფის 600 ბავშვი, იმედია, ჩვენი ბავშვები სკოლაშიც გაამართლებენ და კარგად ისწავლიან, რადგან ჩვენ სასკოლო მზაობის პროგრამა გავიარეთ. მივეცით ბავშვებს ის უნარები, რაც სკოლისათვისაა საჭირო. ეს იყო საზეიმო დღეების დახურვა. მინდა, ყველა საბავშვო ბაღის გამგეს, პედაგოგებსა და ტექპერსონალს გულითადი მადლობა გადავუხადო. ვუსურვო მომავალი წარმატებები, წინსვლა, კვლავაც ბევრი ნიჭიერი პატარის აღზრდა, ბავშვებს კი გზა დავულოცოთ ცხოვრების ახალ ეტაპზე. ბედნიერი გზა ქონოდეთ სკოლისაკენ".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშობლები აღფრთოვანებულნი დარჩნენ საკუთარი შვილების ასეთი ნიჭიერებითა და ცოდნით : „რასაც ველოდი, იმაზე უკეთესი იყო. მადლობა მასწავლებლებს ამ დღისათვის. ძალიან ლამაზები იყვნენ, ყველას წარმატებულ სწავლას ვუსურვებ"- დალოცა პატარები ლალი ჭანკვეტაძემ. საბავშვო ბაღის გამგე ლალი კორტავაც სიამოვნებას და სიამაყეს გრძნობდა თავისი აღსაზრდელების გამო: „ნამდვილი მარგალიტები არიან, ღვთით დალოცვილებს გაევლოთ ცხოვრების გზა. წარმატება ჰქონოდეთ სწავლაში და ესახელებინოთ თავიანთი ბაღი. ჩვენ ჩვენი ძალა, ენერგია და ცოდნა არ დავიშურეთ მათთვის, ვფიქრობ კარგი საფუძველი აქვთ და ვიმედოვნებ სკოლაშიც წარმატებულები იქნებიან და მთელ ცხოვრებაშიც". პედაგოგებმა მადლობა მშობლებსაც გადაუხადეს თანადგომისათვის. მუსუკის მასწავლებელმა მანანა ქობალავამ როგორც აღნიშნა: „მადლობა მინდა ვუთხრა მშობლებს გვერდში დგომისთვის. ამის გარეშე ჩვენ ვერაფერს შევძლებდით". ნინო გაბელიას აზრით კი „ყველაზე მაგარი ზეიმი იყო, როგორც მშობელი, თითოეული ბავშვით ვამაყობ".

საერთაშორისო ტურნირი კრივში

რამდენიმე დღის წინ ბაქოში ჩატარდა გ.ალიევის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ მოკრივეთა შორის , სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ :
აზერბაიჯანის ჭაბუკთა ნაკრები თითო წონაში 3 კაციანი შემადგენლობით. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, კაზახეთის ჭაბუკთა ნაკრები, უზბეკეთის ჭაბუკთა ნაკრები, ტაჯიკეთის ჭაბუკთა ნაკრები, ირანის ჭაბუკთა ნაკრები უნგრეთის ჭაბუკთა ნაკრები, უკრაინის ჭაბუკთა ნაკრები, რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები.
ტურნირზე მიღებული შედეგები ასე გამოიყურება: კრივის სასპორტო სკოლის მოკრივემ ლადო ლომაიამ (60კგ)- (პირადი მწ-რ.ქიქავა) მოიპოვა მე-2 ადგილი და შესაბამისად ვერცხლის პრიზიორი გახდა.

ჭადრაკი სკოლაში

სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში (დირექტორი-კობა კვიკვინია) ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი მესამე კლასის მოსწავლეთა შორის.
საბოლოო შედეგები -
გოგონები:
1. ირინა ბუკია - 10 ქულა (12 შესაძლებლიდან); 2. სუზანა გაბისონია - 9,5 3; თეკო ბუკია - 8,5;
4. სოფო გვალია - 7,5
ბიჭები:
1. საბა საბახტარაშვილი - 8 2-4; დაჩი თოდუა - 6,5; გიორგი კვიკვინია - 6,5; კოტე გაბრავა - 6,5
შიდა სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში II და III კლასის მოსწავლეებს შორის ასევე სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახუნაოს საჯარო სკოლის მასწავლებლის დავით პირტახიას ინიციატივით ჩატარდა.
დებულების შესაბამისად ტურნირი გაიმართა წრიული სისტემით და მონაწილეებმა დააგროვეს: სიგუა ლუკამ და ფირცხალავა გიულიმ 5-5 ქულა, სართანია საბამ და ძიძიგური მარიკამ 4-4 ქულა, ცანავა ცოტნემ 2 ქულა, ჯეჯელავა ანამ 1 ქულა და კახათელიძე ნინო 0 ქულა.

სპორტი

ფოთელი ძიუდოისტების წარმატება

რამდენიმე დღის წინ ქარელში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის მალხაზ ბერუაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, სადაც ფოთელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს:
ელიზბარ თურქია - I ადგილი, 55 კგ წონითი კატეგორია
ბექა სანაია - III ადგილი, 73 კგ წონითი კატეგორია
ვიტალი ქაქუთია - III ადგილი, 60 კგ წონითი კატეგორია
მწვრთნელები კოტე ხუბუტია, ზური ძაძამია.

ბავშთა ფესტივალი და 7 კაცა რაგბში

რამდენიმე დღის წინ ჩაქვში ჩატარდა ბავშვთა ფესტივალი 2005-2006 წ.წ. დაბადებულთა შორის, სადაც მონაწილეობდა ფოთის გუნდი „კოლხი რაინდები“, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა.
ასევე აბაშაში ჩატარდა ბავშვთა ფესტივალი 2007-2008 წ.წ. დაბადებულთა შორის, სადაც ფოთის გუნდმა წარმატებით იასპარეზა.
იმავე დღეს პარალელურად გორში ჩატარდა 7-კაცა რაგბი 2003-2004 წ.წ. დაბადებულთა შორის, სადაც „კოლხმა რაიდებ“-მა 6 თამაშიდან 5 თამაში მოიგეს.
წარმატებას ვუსურვებთ მომავალში ფოთის გუნდს.

საბა ხვიჩავა ბელარუსიის ჩემპიონატში პირველი ადგილის მფლობელია

გასულ კვირას ბელარუსიის ქალაქ გროდნოში ჩატარდა ბელარუსიის ჩემპიონატი 2000-2001 წ.წ. დაბადებულთა შორის, სადაც ფოთელმა მძლეოსანმა საბა ხვიჩავამ 2000 მ. წინაღობებით რბენაში დაიკავა I ადგილი შედეგით 6 წთ.02 წმ., ხოლო 800 მ. რბენაში - II ადგილი შედეგით 1 წთ. 57 წმ.
მწვრთნელი ჯეირან ხოფერია.

მაიონეზი თმას აჯანსაღებს

მაიონეზი გიყვართ და არაფრით ეთანხმებით იმ აზრს რომ ეს პროდუქტი მავნეა ორგანიზმისთვის?..დასამშვიდებლად გეტყვით,რომ მაიონეზი უდავოდ სასარგებლოა თქვენი თმისთვის, მითუმეტეს თუ ის ზამთრის სიცივისგან ან ხშირი ღებვისგან გამომშრალი და დაზიანებულია...მაიონეზის ნიღაბი ,რომლის რეცეპტსაც ახლა გაგიმხელთ ნებისმიერი ტიპის თმას მოუხდება,თუმცა ნორმალური და ცხიმიანი თმის მქონე თავზე ის მხოლოდ ორ თვეში ერთხელ უნდა დაიდოთ...

ნიღბის მოზმადება ძალიან ადვილია, დაგჭირდებათ:

ერთი ქილა ზეთისხილიანი მაიონეზი;

ერთი კვერცხის გული;

ერთი ცალი ერთჯერადი ცელოფანი;

თბილი პირსახოცი;

1. კარგად დაივარცხნეთ დასაბანი თმა და გაყავით ის რამდენიმე ნაწილად.
2. პატარა ჯამში ათქვიფეთ ზეთისხილიანი მაიონეზი და კვერცხის გული.
3. საგანგებოდ შეიზილეთ მიღებული მასა ჯერ თმის ძირებში, შემდეგ კი მთელ სიგრძეზე.

4. აიკეცეთ თმა და მჭიდროდ შემოიხვიეთ ერთჯერადი ცელოფანი.
5. ცელოფნის შემდეგ, თავზე მოიხვიეთ თბილი პირსახოცი.
6. ნიღბის ჩამობანა გრილი წყლით დაიწყეთ შემდეგ კი ჩვეული ტემპერატურის წყლით და შამპუნით დაიბანეთ.

მშრალი თმის შემთხვევაში, რეკომენდირებულია ამ ნიღბის მაქსიმალურად დიდი დროით გაჩერება. ნორმალური თმიდან ნიღაბი ორ საათში უნდა ჩამოიბანოთ. ცხიმიან თმაზე კი ერთ საათზე დიდხანს არ გაიჩეროთ.

მოვლილი ხელები ქალის სახეა

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელები ქალისთვის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. თითქმის ყველა ჩვენგანი ოცნებობს ნაზ კანსა და ნატიფ თითებზე... ლამაზ ხელებს განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება სჭირდება. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რამდენი საოჯახო ან სამსახურის საქმის შესრულება გვიწევს, ყოველდღიურად...ბაქტერიების ყველაზე დიდი რაოდენობაც სწორედ ხელებზე, განსაკუთრებით კი ფრჩხილებში იყრის თავს. ფრჩხილებთან დაკავშირებით, უამრავი სხვა საზრუნავიც გვაქვს: ჯანმრთელი ფრჩხილები უნდა იყოს მკვრივი, ელასტიური და ვარდისფერი. ხშირად ფრჩხილების დაზიანება ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემაზეც მიგვითითებს. ფერის ცვალებადობა შესაძლოა გამოიწვიოს საკვებმა, არასწორმა მოვლამ ან რომელიმე კონკრეტულმა საქმიანობამ. აუცილებელია ფრჩხილების ვიტამინებით მუდმივი კვება.

ვიტამინი — საჭიროა ფრჩხილის ზრდისა და სიმაგრისთვის. მას შეიცავს ღვიძლი, მწვანილი, პომიდორი, სტაფილო.

ვიტამინი — ეხმარება ცილების გამომუშავებასა და ზრდაში. ის ბლომად გვხვდება კომბოსტოში, კვერცხის გულსა და ხორბალში.

იოდი - სასარგებლოა ფრჩხილის ზრდისათვის. მას შეიცავს შპინატი და ზღვის კომბოსტო.

კალცი - უზრუნველყოფს რჩხილების სიმაგრეს. ბლომად გვხვდება რძის პროდუქტში.

მანიკურის გაკეთება რეკომენდირებულია ორ კვირაში ერთხელ. არ არის სასურველი მუდამ ლაქიანი ფრჩხილების ქონა. კარგი იქნება პერიოდულად თუ დაასვენებთ ორ-ორი დღით. ფრჩხილებიდან სიყვითლის მოშორება ლიმნის პატარა ნაჭრებით შეგიძლიათ. ის იმავდროულად გაგიმაგრებთ სტრუქტურას. ზეითუნის ზეთში აურიეთ ლიმნის რამდენიმე წვეთი და გაუკეთეთ თქვენს ფრჩხილებს 10-20 წუთიანი აბაზანა. ეს დაგეხმარებათ მათ გამაგრებაში. ხელები რომ არ გაგიუხეშდეთ და გამოგიშრეთ ნუ დაიბანთ მათ ზედმეტად ცხელი ან ცივი წყლით. ხელის კანის სირბილისა და ელასტიურობისათვის შეგიძლიათ ჩაიტაროთ შემდეგი აბაზანები: 2 ლიტრა თბილ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტი ან 1 სუფრის კოვზი გლიცერინი. პროცედურის ხანგრძლივობაა 15–30 წუთამდე და შეგიძლიათ გაიმეოროთ 10-15 დღის განმავლობაში, ყოველდღიურად. ხელახალი კურსის დაწყება ერთი თვის შემდეგაა სასურველი.

ჯანმრთელ ხელებს და სილამაზეს გისურვებთ!

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის

1 წლით - 50 ლარი

6 თვით - 25 ლარი

3 თვით - 12,50ლარი

კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის

3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში" შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.